შპს "ჯი-ემ-პი"
საქართველო, 0165 თბილისი,
ფონიჭალა № 65
ტელ/ფაქსი: +995 32 923181, +995 32 923141
ელ. ფოსტა: gmp@gmpgeo.com, office@gmpgeo.com

GMP

GM Pharmaceuticals Ltd.
65, Ponichala,
0165 Tbilisi, Georgia
Tel./Fax: +995 32 923181, +995 32 923141
Email: gmp@gmpgeo.com, office@gmpgeo.com

N 26/04/18

16.04.2018 წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

გვინდა გამოვეხმაუროთ თქვენი უწყების მხრიდან ბოლო პერიოდში კერძო სექტორის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრებსა და ინიციატივებს, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის მოსახლეობისათვის შესაბამისი ფარმაცევტული პროდუქტის ხელმისაწვდომობის გაზრდას და ამ მიზნით კონკრეტული წინადადებებისა და ნაბიჯების გადადგმის მცდელობას.

ვაცნობიერებთ რა კომპანიის სოციალურ პასუხისმგელობას ქვეყნისა და მოსახლეობის წინაშე, გამოვხატავთ სრულ მზაობას ჩავერთოთ მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების ინიციატივებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შემოვდივართ კონკრეტული წინადადებით, სახელმწიფოს პარტნიორობით ერთობლივად დავაფუძნოთ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირი, რომელიც იზრუნებს სოციალური პროექტების განხორციელება-ხელშეწყობაზე მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი ფარმაცევტული პროდუქტების უზრუნველსაყოფად.

ამავდროულად, ინიციატივის მიზნების გათვალისწინებით, ორგანიზაციის საქმიანობა იქნება ღია და გამჭვირვალე, ნებაყოფლობით წევრობაზე დაფუძნებული, სადაც გაწევრიანების შესაძლებლობა მიეცემათ ნებისმიერ დაინტერესებულ პირ(ებ)ს, ვისაც ექნება სურვილი თავისი წვლილი შეიტანოს სხვადასხვა სოციალური ხასიათის პროექტების განხორციელებაში.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ შესაბამისი წესდების პროექტს და გამოვხატავთ მზაობას შემდგომი თანამშრომლობისათვის.

დანართი: წესდების პროექტი

პატივისცემით,

შპს „ჯი-ემ-პი" დირექტორი — გიორგი ანთაძე

GMP 20-09-20

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოціალური დაცვის სამინისტრო
01505
030186075514316

35971
16 04 18
8

<u>ააიპ-ის წესდების პროექტი</u>

მუხლი 1. სახელწოდება და სამართლებრივი ფორმა

1.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ----------, შემდგომში მოხსენიებული როგორც "ორგანიზაცია", არის პირთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე და შექმნილია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
1.2. ორგანიზაცია წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
1.3. ორგანიზაცია იქმნება და მოქმედებს კანონიერების, წევრების თანასწორობის და მათი ნების თავისუფალი გამოხატვის პრინციპებით, საჯაროობის, თვითმმართველობის და თვითდაფინანსების პრინციპებით.
1.4. საკუთარ უფლებამოსილებებს ორგანიზაცია ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
1.5. ორგანიზაცია ქონებრივ ვალდებულებებთან მიმართებაში პასუხისმგებელია მისი კუთვნილი ქონებით. ორგანიზაციის წევრები არ არიან პასუხისმგებელი ორგანიზაციის ვალდებულებებზე, ისევე როგორც ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი ორგანიზაციის წევრების ვალდებულებებზე.
1.6. ორგანიზაციას აქვს უფლება შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იყოს პასუხისმგებელი მხარე, მოდავე მხარე და მოპასუხე მხარე სასამართლო ორგანოებში, განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით და წესდებით განსაზღვრული სხვა ქმედებები.
1.7. ორგანიზაცია არის იურიდიული პირი მისი სახელმწიფო რეგისტრაციის შემდეგ. გააჩნია საბანკო ანგარიშები, ბეჭედი საკუთარი დასახელებით, სიმბოლიკა და სხვა ატრიბუტები.
1.8. ორგანიზაციას აქვს უფლება განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა იმდენად, რამდენადაც ეს საქმიანობა მოემსახურება ორგანიზაციის მიზნების განხორციელებას.
1.9. ოფიციალური დასახელება
ქართულ ენაზე: ----------
ინგლისურ ენაზე: ----------
1.10. იურიდიული მისამართი: ----------

2. ორგანიზაციის საქმიანობა და მიზნები

2.1. ორგანიზაციის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს:
2.1.1. სხვადასხვა სოციალური პროექტების შემუშავება და განხორციელება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებასა და ფარმაცევტულ პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.
2.2. ორგანიზაციის საქმიანობას წარმოადგენს:
2.2.1. წინადადებებისა და ინიციატივების შემუშავება და/ან განხორციელება, რაც მიზნად ისახავს ქვეყნის მოსახლეობაში ხარისხიან სამედიცინო სერვისებსა და ფარმაცევტულ პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას;
2.2.2. ორგანიზაციის მიზნების გათვალისწინებით შესაბამის სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან/ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა;
2.2.3. ორგანიზაციის ინტერესების წარმოდგენა მესამე პირებთან ურთიერთობებში;
2.2.4. ორგანიზაციის წევრების ინტერესების და უფლებების დაცვის მიზნით, მათი სამართლებრივი და სხვა სახის მხარდაჭერა.
2.2.5. სხვა სახის საქმიანობა, რომელიც ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით და რომელიც არ ეწინააღმდეგება ორგანიზაციის მიზნებს.
2.3. დასახული მიზნების მისაღწევად, ორგანიზაცია ამყარებს და ავითარებს ურთიერთობებს საქართველოში და უცხოეთში არსებულ სხვა ორგანიზაციებთან.

3. ორგანიზაციის უფლებები

3.1. წესდებაში ჩამოყალიბებული მიზნების მისაღწევად, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, ორგანიზაციას აქვს უფლება:

3.1.1. წარმოადგინოს ორგანიზაცია მესამე პირებთან ურთიერთობებში.

3.1.2. გაავრცელოს ინფორმაცია საკუთარი საქმიანობის შესახებ.

3.1.3. დააფუძნოს სხვა იურიდიული პირები.

3.1.4. დაეხმაროს ორგანიზაციის წევრების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას საქართველოს სხვადასხვა დაწესებულებებში და საზღვარგარეთ მათი შემდგომი სწავლებისა და სტაჟირების ორგანიზების მეშვეობით.

3.1.5. მიიღოს მონაწილეობა კონგრესების, სიმპოზიუმების, კომისიების, კოლეგიების მუშაობაში, სესიებში და სხვა ფორუმებში, რომლებიც იხილავენ სხვადასხვა საკითხებს, პროგრამებს, ინიციატივებს.

3.1.6. გაწევრიანდეს საერთაშორისო არასამთავრობო არაკომერციულ გაერთიანებებში.

3.1.7. სხვა უფლებები, რომლებსაც ითვალისწინებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა.

3.2. ორგანიზაცია უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება მის მიზნებს და ინტერესებს და აკრძალული არ არის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

4. ორგანიზაციის დამფუძნებლები

4.1. ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან:

4.1.1. ----------

4.2. ორგანიზაციის დამფუძნებლები ორგანიზაციის შიგნით საკუთარ საქმიანობას ახორციელებენ ორგანიზაციის წევრთა საერთო კრების და ორგანიზაციის გამგეობის მეშვეობით.

4.3. ორგანიზაციის დამფუძნებლების კომპეტენციას განეკუთვნება ორგანიზაციის წევრთა კომპეტენციის საკითხები:

4.3.1. ორგანიზაციის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შემუშავება, მიღება და დამტკიცება;

4.3.2. გამგეობის წევრთა არჩევა და გადარჩევა;

4.3.3. გამგეობის საქმიანობის მეთვალყურეობა;

4.3.4. ორგანიზაციის ახალ წევრთა მიღებისა და გარიცხვის დამტკიცება;

4.3.5. გადაწყვეტილების მიღება ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ.

4.4. ორგანიზაციის დამფუძნებელთა მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესი ასახულია ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებისა და ორგანიზაციის გამგეობის მუშაობის მარეგლამენტირებელ თავებში.

5. ორგანიზაციის წევრობა

5.1. ორგანიზაციაში გაწევრიანება ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით.

5.2. ორგანიზაციის წევრი, შესაძლებელია, გახდეს ნებისმიერი პირი, რომელიც იზიარებს ორგანიზაციის საქმიანობის მიზნებს და საქმიანობენ ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვან სფეროში.

5.3. ორგანიზაციის წევრებს (მათ შორის, დამფუძნებლებსაც) გააჩნიათ თანაბარი უფლებები და თანაბარი ვალდებულებები.

5.4. ორგანიზაციაში გაწევრიანება ხორციელდება ნებაყოფლობით, წერილობითი განცხადების საფუძველზე.

5.5. ორგანიზაციაში წევრად მიღების გადაწყვეტილებას იხილავს ორგანიზაციის გამგეობა და წარუდგენს ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებას დასამტკიცებლად.

5.6. გაწევრიანების გადასახადის და საწევრო გადასახადების მოცულობას და გადახდის წესებს სახღვრავს ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება. ორგანიზაციის წევრთა გადაწყვეტილებით სახელმწიფოს ამ მიზნით არ შეიძლება დაეკისროს რაიმე შენატანის, საწევრის ან სხვა შეწირულობის გადახდა/გაღება.

5.7. ორგანიზაციის წესდების დარღვევის შემთხვევაში, თუ ორგანიზაციის წევრმა შეწყვიტა საწევრო გადასახადების დროული გადახდა, ან მისმა ქმედებამ მოუტანა მნიშვნელოვანი ზიანი

ორგანიზაციას ან მის წევრებს, ორგანიზაციის წევრი შესაძლებელია გარიცხული იქნას ორგანიზაციიდან. ასეთ გადაწყვეტილებას იხილავს ორგანიზაციის გამგეობა და წარუდგენს ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებას დასამტკიცებლად. ასეთი გადაწყვეტილების მიღება შეიძლება განხორციელდეს განსაკუთრებული რეგლამენტით.

5.8. წევრის გარიცხვის შემთხვევაში ორგანიზაციაში გადახდილი გადასახადები მას არ უბრუნდება.

5.9. ორგანიზაციიდან გამოსვლა შესაძლებელია ნებაყოფლობით, წერილობითი განცხადების საფუძველზე. განცხადებას განიხილავს და ამტკიცებს ორგანიზაციის გამგეობა.

5.10. ორგანიზაციის წევრს აქვს უფლება:

5.10.1. მიიღოს მონაწილეობა ორგანიზაციის ნებისმიერ საქმიანობაში.

5.10.2. აირჩიოს ან იქნას არჩეული ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოში და წარმოადგინოს ორგანიზაცია მინიჭებული უფლებების ფარგლებში.

5.10.3. წარმოადგინოს სხვადასხვა საკითხები ორგანიზაციის გამგეობის და საერთო კრების მიერ განსახილველად.

5.10.4. მიიღოს ინფორმაცია ორგანიზაციის მოღვაწეობის შესაბამისად, მიიღოს მონაწილეობა ორგანიზაციის საქმიანობის შემოწმებაში წესდებით გათვალისწინებული ფორმით.

5.10.5. აუცილებლობის შემთხვევაში, მოითხოვოს ორგანიზაციის წევრების რიგგარეშე კრების ჩატარება.

5.10.6. მიიღოს ინფორმაცია ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობის შესახებ.

5.11. ორგანიზაციის წევრების ვალდებულებები:

5.11.1. კანონიერების პრინციპების დაცვა.

5.11.2. საწევრო გადასახადების დროული გადახდა ორგანიზაციის წევრთა საერთო კრების მიერ განსაზღვრული გზით და ოდენობით.

5.11.3. იმ ვალდებულებების შესრულება, რომელსაც იღებს ორგანიზაციის წინაშე.

5.11.4. დაეხმაროს ორგანიზაციას მის საქმიანობაში, იმ ფორმითა და წესით, რომელსაც ითვალისწინებს აღნიშნული წესდება.

5.11.5. არ განახორციელოს ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელიც ზიანს ორგანიზაციის რეპუტაციას და იმიჯს.

6. ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოების შექმნის წესები და მათი კომპეტენცია

6.1. ორგანიზაციის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება, რომელიც უნდა იქნას მოწვეული არა ნაკლებ ერთხელ კალენდარული წლის განმავლობაში. ორგანიზაციის წევრების საერთო კრების მოწვევის შესახებ, მისი ჩატარების ადგილის და თარიღის შესახებ განცხადებას აკეთებს ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე.

6.2. ორგანიზაციის წევრების საერთო კრება ითვლება შემდგარად და უფლებამოსილად, თუ მას ესწრება წევრთა (მათ შორის, დამფუძნებელთა) არანაკლებ 2/3 -ის. გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმათა მარტივი უმრავლესობით ღია კენჭისყრით მეშვეობით. ორგანიზაციის წევრების საერთო კრებაზე ყველა წევრს (მათ შორის, დამფუძნებელსაც) გააჩნია ერთი ხმის უფლება.

6.3. ორგანიზაციის წევრის მიღების ან გარიცხვის საკითხზე კრება მუშაობს ორგანიზაციის წევრთა კრების განსაკუთრებული რეგლამენტით, კერძოდ:

6.3.1. ამ საკითხის განსახილველად კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ 90%-ისა.

6.3.2. ასეთი გადაწყვეტილების მიღება ხდება დამსწრე წევრთა 3/4-ით.

6.3.3. კენჭისყრა ასეთ საკითხზე შეიძლება იყოს დახურულიც.

6.3.4. ერთ წევრს გააჩნია ერთი ხმის უფლება.

6.4. ორგანიზაციის წევრების საერთო კრების რიგგარეშე მოწვევა შესაძლებელია მოხდეს ორგანიზაციის წევრთა 1/3-ის მოთხოვნით ან გამგეობის მოთხოვნით. ამის შესახებ ორგანიზაციის წევრებს შეტყობინება ეგზავნებათ რიგგარეშე კრების ჩატარების თარიღიდან არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე.

6.5. მხოლოდ ორგანიზაციის წევრების საერთო კრების კომპეტენციაა:

6.5.1. ორგანიზაციის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შემუშავება, მიღება და დამტკიცება;

6.5.2. გამგეობის წევრთა არჩევა და გადარჩევა;

6.5.3. გამგეობის საქმიანობის მეთვალყურეობა, მისი ანგარიშების განხილვა-დამტკიცება;

6.5.4. აღმასრულებელი დირექტორის ანგარიშის და ორგანიზაციის საფინანსო-სამეურნეო მოღვაწეობის ანგარიშის განხილვა-დამტკიცება.

6.5.5. ორგანიზაციის ახალ წევრთა მიღებისა და არსებული წევრების გარიცხვის დამტკიცება;

6.5.6. გადაწყვეტილებების მიღება ორგანიზაციის გაფართოებასა და ფილიალების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით;

6.5.7. გადაწყვეტილებების მიღება ორგანიზაციის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების განკარგვის შესახებ;

6.5.8. გადაწყვეტილების მიღება ორგანიზაციის საქმიანობის რეორგანიზაციის ან შეწყვეტის შესახებ.

6.5.9. ორგანიზაციის საქმიანობის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა და დამტკიცება.

6.6. ორგანიზაციის წევრების საერთო კრების ოქმი უნდა შეიცავდეს:

6.6.1. ორგანიზაციის წევრების საერთო კრების ჩატარების თარიღს, ადგილს და დროს.

6.6.2. თავმჯდომარის და მდივანის პიროვნების სახელსა და გვარს, ასევე, იმ პიროვნებების სახელსა და გვარს, რომლებიც ადასტურებენ ოქმში შესული ინფორმაციის სისწორეს.

6.6.3. ორგანიზაციის წევრების საერთო კრების დღის წესრიგს.

6.6.4. ორგანიზაციის წევრების საერთო კრების ჩატარების დროს მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს, გამოთქმულ წინადადებებს.

6.6.5. მიღებულ გადაწყვეტილებებს, იმ ხმათა რაოდენობების ზუსტი მითითებით, რომლებიც "დაეთანხმნენ" გადაწყვეტილებას, "არ დაეთანხმნენ" მას, ან "თავი შეიკავეს".

6.6.6. ორგანიზაციის წევრების ან მათი წარმომადგენლების პროტესტს, თუ პროტესტის გამომხატველი პიროვნება ითხოვს, რომ მისი პროტესტი შეტანილი იქნას ოქმში.

6.6.7. ოქმს ხელს აწერენ საერთო კრების თავმჯდომარე, მდივანი და ორგანიზაციის ორი წევრი, რომლებიც ადასტურებენ ოქმის შედგენის სისწორეს.

6.7. ორგანიზაციის წევრებს შეუძლიათ დაესწრონ და მიიღონ გადაწყვეტილებები საერთო კრებაზე როგორც პირადად, ასევე მათი წარმომადგენლების მეშვეობით. საერთო კრებაზე მონაწილეობისათვის ასეთმა წარმომადგენელმა უნდა წარადგინოს მინდობილობა, რომელიც იურიდიული პირის შემთხვევაში უნდა იყოს დამოწმებული იურიდიული პირის ბეჭდის მეშვეობით, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში უნდა იყოს დამოწმებული ნოტარიალურად.

6.8. ორგანიზაციის ხელმძღვანელობის, მიმდინარე საქმიანობისა და წარმომადგენლობის მიზნით ორგანიზაციაში იქმნება გამგეობა. ორგანიზაციის გამგეობა შედგება სამი წევრისაგან: გამგეობის თავმჯდომარისაგან და გამგეობის ორი წევრისაგან. ორგანიზაციის გამგეობა აირჩევა წევრთა საერთო კრების მიერ.

ორგანიზაციის გამგეობის წევრები არიან:

-

-

-

6.9. გამგეობის უფლებამოსილების ვადაა 1 წელი. იმ შემთხვევაში თუ საერთო კრებაზე კენჭისყრის შედეგად გამგეობის მუშაობა შეფასებული იქნება, როგორც არადამაკმაყოფილებელი, არჩეული უნდა იქნას ახალი გამგეობა.

6.10. შესაძლებელია გამგეობის ცალკეულ წევრთა ვადამდელი არჩევა-გადარჩევა. ამ გადაწყვეტილებას იღებს ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება

6.11. გამგეობა ატარებს სხდომებს არანაკლებ ოთხჯერ წელიწადის განმავლობაში. გამგეობის შეკრება ითვლება უფლებამოსილად, თუ მას ესწრება გამგეობის ყველა წევრი. გადაწყვეტილებების მიღება გამგეობის კრებებზე ხდება ხმათა მარტივი უმრავლესობის მიხედვით.

6.12. ორგანიზაციის გამგეობა:

6.12.1. ირჩევს (და ათავისუფლებს) გამგეობის წევრებიდან ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარეს, რომელიც ხელმძღვანელობს ორგანიზაციის სხდომებს.

6.12.2. ორგანიზაციის სახელით აფორმებს ხელშეკრულებას აღმასრულებელ დირექტორთან.

6.12.3. ატარებს სამუშაოს შემდეგი საერთო კრების ჩასატარებლად.

6.12.4. ახორციელებს საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლს.

6.12.5. ამტკიცებს სამუშაო გეგმას და თანამშრომლების ხელფასებს.

6.12.6. ამტკიცებს ხარჯების დაგეგმარებას და ისმენს ანგარიშს დამტკიცებული გეგმის შესრულების შესახებ.

6.12.7. იღებს გადაწყვეტილებას საშტატო თანამშრომლების წახალისების შესახებ.

6.12.8. განიხილავს სხვადასხვა საკითხებს, იღებს გადაწყვეტილებებს, ამტკიცებს ყველა იმ ღონისძიებების ჩატარების გეგმას, რომლებიც მიმართულია წესდებით გათვალისწინებული მიზნების განსახორციელებლად.

6.13. აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება ერთი წლით. ერთი და იგივე კანდიდატურის ხელმეორედ არჩევა შეიძლება შეუზღუდავად.

6.14. ყოველი წლის ბოლოს აღმასრულებელი დირექტორი წარადგენს საერთო კრებაზე საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანგარიშს.

6.15. ანგარიში უნდა მოიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

6.15.1. ორგანიზაციის ქონებრივ მდგომარეობას ანგარიშის შედგენის დროისათვის.

6.15.2. საერთო შემოსავალს და გასავალს საანგარიშო პერიოდში.

6.15.3. ინფორმაციას ორგანიზაციის და ორგანიზაციისადმი დავალიანების შესახებ.

6.16. აღმასრულებელი დირექტორი ახორციელებს ორგანიზაციის ოპერატიული და მიმდინარე საქმიანობის ხელმძღვანელობას, მოქმედებს ორგანიზაციის სახელით და წარმოადგენს ორგანიზაციის ინტერესებს ყველა საწარმოში, კომპანიებში და ორგანიზაციებში, განაგებს ორგანიზაციის ქონებას და ფინანსურ რესურსებს, საჭიროების შემთხვევაში, წყვეტს არსებულ კონტრაქტებს ან ადგენს ახალ კონტრაქტებს, მათ შორის თანამშრომლებთან, იძლევა მინდობილობებს, ამტკიცებს ორგანიზაციის სხვადასხვა შიდა დოკუმენტებს, განსაზღვრავს ორგანიზაციის საორგანიზაციო სტრუქტურას, ხსნის ბანკში ანგარიშს, ახორციელებს ორგანიზაციის გამგეობის და წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებებს, ახორციელებს და აკონტროლებს საქმეთა წარმოებას და ასევე, ახორციელებს სხვა საქმიანობას, რომელიც არ შედის საერთო კრებისა და ორგანიზაციის გამგეობის კომპეტენციაში.

6.17. ორგანიზაციის გამგეობის ნებისმიერი წევრი შესაძლებელია გათავისუფლებული იქნას დაკავებული თანამდებობიდან საკუთარი სურვილით, კრებაზე განცხადების გაკეთების მეშვეობით, ან დათხოვილი იქნას ორგანიზაციის ნებისმიერი წევრის წინადადებით ჩატარებული კენჭისყრის მეშვეობით, თუ აღნიშნულ წინადადებას ხმას მისცემს კრებაზე დამსწრეთა ხარტივის უმრავლესობამ.

7. ორგანიზაციის საკუთრება

7.1. არსებული კანონმდებლობის შესაბამისად ორგანიზაციას აქვს უფლება იქონიოს საკუთრებაში შენობა–ნაგებობები, ინვენტარი, ფულადი სახსრები (მათ შორის, უცხოურ ვალუტაში) აქციები, სხვა ფასიანი ქაღალდები, ასევე სხვა სახის საკუთრება რომლებიც აუცილებელია ორგანიზაციის მიზნების და საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისათვის.

7.2. ის ქონება, რომელსაც ორგანიზაციის წევრი გადასცემს ორგანიზაციას, ხდება ორგანიზაციის საკუთრება. ორგანიზაციის წევრებს არა აქვთ უფლებები ორგანიზაციის ქონებაზე.

7.3. ორგანიზაციის ქონების მიღების წყაროებია:

7.3.1. ორგანიზაციის წევრების საწევრო გადასახადები.

7.3.2. შემოსავალი სამეწარმეო ან სხვა სახის სამეურნეო საქმიანობიდან.

7.3.3. ნებაყოფლობითი შენატანები, შემოწირულობები რომელსაც ახორციელებენ საქართველოს მოქალაქეები, სხვა ქვეყნების მოქალაქეები და პირები მოქალაქეობის გარეშე.

7.3.4. გრანტები, ტექნიკური დახმარება და სპონსორობა.

7.3.5. კანონით დაშვებული სხვა შემოსავლები.

7.4. დამფუძნებლებმა, სპონსორებმა და შემოწირულობების მსურველმა პირებმა შესაძლებელია გადასცენ ორგანიზაციას:

7.4.1. ფულადი სახსრები (როგორც ეროვნულ ვალუტაში ასევე უცხოურ ვალუტაში) როგორც ნაღდი თანხის სახით, ასევე საბანკო გადარიცხვების სახით.

7.4.2. სხვადასხვა სახის ქონება.

7.4.3. უფლებები მიწაზე, წყალზე და სხვა ბუნებრივ რესურსების გამოყენებაზე, შენობა-ნაგებობები და დანადგარები.

7.4.4. სხვა ქონებრივი უფლებები.

7.5. ორგანიზაციის ფულადი სახსრები ხმარდება ორგანიზაციის წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და საქმიანობის განსახორციელებლად. ორგანიზაციის ფულადი სახსრები არ შეიძლება გადანაწილებული იქნას ორგანიზაციის წევრებს შორის.

7.6. ორგანიზაციის წევრობის უფლებამოსილების ნებისმიერი სახით შეწყვეტის შემთხვევაში (მათ შორის, საკუთარი სურვილით) გადახდილი საწევროები არ ბრუნდება.

8. ორგანიზაციის აღრიცხვა და აღრიცხვიანობა

8.1. ორგანიზაციის ფინანსური ანგარიში ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

8.2. ორგანიზაციის საქმიანობის ფინანსური შედეგები დგინდება წლიური ფინანსური ანგარიშის მიხედვით. წლიური ფინანსურ ანგარიშს ამტკიცებს საერთო კრება.

8.4. ორგანიზაციის ფინანსური წელი იგივეა, რაც კალენდარული წელი

9. ორგანიზაციის პერსონალი

9.1. შრომითი ურთიერთობები დაქირავებულ თანამშრომლებთან ყალიბდება საქართველოს შრომის კანონმდებლობის მიხედვით.

9.2. ორგანიზაციის პერსონალი შედგება დაქირავებული თანამშრომლებისაგან, რომელთაც დაიქირავებს აღმასრულებელი დირექტორი.

10. ორგანიზაციის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესები

10.1. ორგანიზაციის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა წარმოადგენს მხოლოდ საერთო კრების კომპეტენციას.

10.2. წინადადება ორგანიზაციის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ შეუძლია წარადგინოს ორგანიზაციის ნებისმიერმა წევრმა წერილობითი სახით, გამგეობის სახელზე. იმ შემთხვევაში თუ გამგეობა მხარს დაუჭერს შემოსულ წინადადებას, იგი გადაეცემა განსახილველად ორგანიზაციის წევრებს. ასეთი განხილვის ორგანიზება უნდა განახორციელოს აღმასრულებელმა დირექტორმა და გამგეობამ. აღნიშნულის შემდეგ გამგეობა იწვევს საერთო კრებას და დღის წესრიგში შეაქვს ორგანიზაციის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი. ორგანიზაციის საერთო კრების გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე მიიღება განსაკუთრებული რეგლამენტით.

11. დავის გადაწყვეტა

11.1. ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სადავო საკითხი, რომელიც წარმოიშობა ორგანიზაციის წევრებს, გამგეობის წევრებს, ორგანიზაციასა და სხვა იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებს შორის წყდება მოქმედი კანონმდებლობით.

12.1. ორგანიზაციის რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამიყოფა) ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.2. ორგანიზაციის ლიკვიდაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

12.2.1. წევრთა გადაწყვეტილებით;

12.2.2. გაკოტრების ან რეგისტრაციის გაუქმებისას;

12.2.3. თუ ორგანიზაცია არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე;

12.2.4. სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე;

12.2.5. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

12.3. ლიკვიდაცია ხდება „გამგეობის" მიერ ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

12.4. ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულადი ფორმით, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირები არიან:

12.4.1. ანალოგიური მიზნების მქონე არასაწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (პირები);

12.4.2. საქველმოქმედო ორგანიზაციები;

12.4.3. სახელმწიფო, სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს სახით.

12.5. გადაწყვეტილებას დარჩენილი ქონების გადანაწილების შესახებ მიიღებს სასამართლო.

12.6. ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა იქნეს გამოქვეყნებული. ჯინება შესაძლებელია განაწილებულ იქნას გამოქვეყნებიდან 6 თვის შემდეგ.

13. დასკვნითი დებულება

13.1. იმ შემთხვევაში თუ წესდების რომელიმე დებულება გაუქმდება, ეს არ გამოიწვევს წესდების სხვა დებულებების გაუქმებას.
13.2. საერთო კრებას უფლება აქვს შეიტანოს წესდებაში ის ცვლილებები, რომლებიც დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით.
13.3. აღნიშნული წესდება ძალაშია ხელმოწერის დღიდან